ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 7 თებერვლის სხდომის ოქმი N 2

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წლის 7 თებერვალს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს 39 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 28.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

<u>**დღის წესრიგი:**</u>

1. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილების ცნობის შესახებ
2. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის არჩევის შესახებ
3. დეპარტამენტების ხელმძღვანელთა დამტკიცების შესახებ
4. მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ
5. სამაგისტრო ნაშრომების თემების დამტკიცების შესახებ
6. დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების და სადოქტორო ნაშრომების სახელწოდებების დამტკიცების შესახებ
7. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ
8. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი – ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილების ცნობის შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა მიულოცა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს არჩევა და შესთავაზა მათ საბჭოს ახალი შემადგენლობის უფლებამოსილების ცნობა (იხ. დანართები 1 - საბჭოს წევრთა სია და საარჩევნო კომისიების ოქმები).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭოს ახლად არჩეული შემადგენლობა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი – ფაკულტეტის საბჭოს მდივნის არჩევის შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა ფაკულტეტის საბჭოს მდივნის პოსტზე წარმოადგინა ასისტენტ პროფესორის თინათინ დავითაშვილის კანდიდატურა, ამასთან საბჭოს წევრებს შესთავაზა სხვა კანდიდატურის წამოყენებაც. თუმცა საბჭოს წევრებს სხვა კანდიდატურა არ წამოუყენებიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ასისტენტ-პროფესორ თინათინ დავითაშვილს ფაკულტეტის საბჭოს მდივნის პოსტზე.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის საბჭოს მდივნის პოსტზე ასისტენტ-პროფესორი თინათინ დავითაშვილი.

3. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მესამე საკითხი – დეპარტამენტების ხელმძღვანელთა დამტკიცების შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა საბჭოს წევრებს გააცნო დეპარტამენტის თავმჯდომარეთა არჩევნების შედეგები (იხ. დანართი 2 - დეპარტამენტის ხელმძღვანელთა საარჩევნი კომისიების ოქმები).

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ფაკულტეტის დეპარტამენტების ახლად არჩეულ ხელმძღვანელთა დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქნას ფაკულტეტის დეპარტამენტების ახლად არჩეული ხელმძღვანელები:

1) მათემატიკის დეპარტამენტი - ასოცირებული პროფესორი ომარ ფურთუხია;
2) კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი - პროფესორი მანანა ხაჩიძე;
3) ფიზიკის დეპარტამენტი - პროფესორი არჩილ უგულავა;
4) ქიმიის დეპარტამენტი - პროფესორი შოთა სამსონია;
5) ბიოლოგიის დეპარტამენტი - პროფესორი დიანა ძიძიგური;
6) გეოგრაფიის დეპარტამენტი - პროფესორი დავით კერესელიძე;
7) გეოლოგიის დეპარტამენტი - პროფესორი ბეჟან თუთბერიძე;
8) ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტი - პროფესორი გიორგი ღვედაშვილი.

4. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს დოკუმენტი წარმოადგენს ანკეტა-კითხვარის წინასწარ ვერსიას და 5 სექტემბრამდე შესაძლებელია მასში ცვლილებების შეტანა. შემდეგ მან სიტყვა გადასცა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ასოცირებულ პროფესორს მაგდა ალანიას. ქ-მა მაგდამ საბჭოს წევრებს კიდევ ერთხელ შეახსენა სამაგისტრო პროგრამებზე ანკეტა კითხვარში დაფიქსირებული რაოდენობები (იხ. დანართები 3.1-3.2).

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარი (იხ. დანართები 3.1-3.2).

5. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეხუთე საკითხი – სამაგისტრო ნაშრომების თემების დამტკიცების შესახებ. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაგდა ალანიამ. მან საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა სამაგისტრო პროგრამების „ინფორმაციული სისტემები", „ქიმია"

(მოდული „ანალიზური ქიმია“) და „ბიოფიზიკის“ ფარგლებში სამაგისტრო თემები (იხ. დანართი 4).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ სამაგისტრო თემებს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: სამაგისტრო პროგრამების „ინფორმაციული სისტემები“, „ქიმია“ (მოდული „ანალიზური ქიმია“) და „ბიოფიზიკის“ ფარგლებში წარმოდგენილი სამაგისტრო თემები (იხ. დანართი 4)..

6. მოისმინეს: დღის წესრიგის მეექვსე საკითხი – დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების და სადოქტორო ნაშრომების სახელწოდებების დამტკიცების შესახებ. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა რ.ინწკირველმა. მან საბჭოს წევრებს გააცნო კომპიუტერული მეცნიერების სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ გ.სირბილაძის და მათემატიკის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ თ.თადუმაძის განცხადებები სადისერტაციო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ. განცხადებებს თან ახლავს შესაბამისი სადისერტაციო საბჭოების სხდომების ოქმები (იხ. დანართები 5).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტებისთვის სადისერტაციო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ დოქტორანტების სადისერტაციო ნაშრომების სახელწოდებები და სამეცნიერო ხელმძღვანელები:

კომპიუტერული მეცნიერება:
მ.არჩუაძე - სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება: „ქართულენოვანი ტექსტების კლასიფიკაციის ამოცანა ინფორმაციულ ძებნაში“.

მათემატიკა:
ა. სბორშჩიკოვი - სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება: "ზოგიერთი სეისმური პრობლემის ალბათურ–სტატისტიკური მოდელირება", სამეცნიერო ხელმძღვანელები: თსუ პროფ., საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ე. ნადარაია**; პროფ. **რ. მნაცაკანოვი** (დასავლეთ ვირჯინიის უნივერსიტეტი, აშშ), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფ. **თ. მაჭარაშვილი** (სტუ მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი);
გ. გულაღაშვილი - სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება: „რეგულარული განსაკუთრებულობების მქონე ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემების რიცხვითი ინვარიანტების შესახებ“, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფმმდ, თსუ ასოცირებული პროფესორი **გ. გიორგაძე;**
ზ. ყალიჩავა - სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება: „ზოგიერთი არაწრფივი სასაზღვრო ამოცანის მიახლოებითი ამოხსნის მეთოდი“, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფმმდ, ასოც. პროფ. **ჯ. ფერაძე**;

თ. შავაძე - სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება: „ამონახსნის ვარიაციის ფორმულები სამართი ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებებისათვის დაგვიანების პარამეტრების შეშფოთებების გათვალისწინებით და მათი ზოგიერთი გამოყენება“, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფმმდ, თსუ პროფ. **თ. თადუმაძე.**

7. მოისმინეს: დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი – დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაგდა ალანიამ. მან საბჭოს წევრებს აცნობა, რომ მათემატიკის დეპარტამენტის საერთო კრებაზე განხილულ და მხარდაჭერილ იქნა საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა მათემატიკაში. პროგრამა შემუშავებულია ფოლსკვაგენის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში გერმანიის გოტინგენის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. პროგრამის ხელმძღვანელები არიან: გერმანული მხრიდან - პროფესორები რალფ მაიერი და ინგო ვიტი, ხოლო ქართული მხრიდან - პროფესორები რამაზ ბოჭორიშვილი, მალხაზ ბაკურაძე და უშანგი გოგინავა (იხ. დანართები 6.1-6.2).

ამ საკითხთან დაკავშირებით დეკანის სახელზე შემოვიდა მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ომარ ფურთუხიას სამსახურებრივი ბარათი თხოვნით, რომ აღნიშნული პროგრამა განხილულ იქნას ფაკულტეტის საბჭოზე და მიეცეს შემდგომი მსვლელობა.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილი პროგრამის დამტკიცების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა მათემატიკაში (იხ. დანართი 6.1).

8. მოისმინეს: მიმდინარე საკითხების შესახებ.

ა) აკად. ალ.თვალჭრელიძის სახ. აუდიტორიის გახსნასთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდა გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფ. ბ.თუთბერიძე. მან აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხზე მომზადებულია განცხადება თსუ კანცლერს სახელზე. განცხადებას თან ერთვის აკად. ალ. თვალჭრელიძის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები. პროფ. ბ.თუთბერიძემ თხოვნით მიმართა საბჭოს შუამდგომლობის შესახებ.

ბ) სიტყვით გამოვიდა პროფესორი ნ.ელიზბარაშვილი. მან საბჭოს წევრებს გააცნო ა(ა)იპ „გენი ქართული“-ს მიერ მოწოდებული ინფორმაცია მრავალშვილიანი სოციალურად დაუცველი ოჯახების შესახებ. ერთ-ერთი მათგანია ვეფხვია ღვალაძის ოჯახი. ჰყავთ 10 შვილი, აქედან 8 არასრულწლოვანი. ერთი შვილი არის სპეციალური საჭიროების მქონე სტატუსის მატარებელი. ოჯახი არის იძულებით გადაადგილებული, ცხოვრობენ ბოლნისის რაიონის სოფელ ტანძიაში. ოჯახი საჭიროებს დახმარებას.

პროფ. ნ.ელიზბარაშვილი გამოვიდა ინიციატივით, რომ ფაკულტეტის თანამშრომელთა შორის მოხდეს ამ ინფორმაციის გავრცელება აღნიშნული ოჯახის დახმარების მიზნით. მსურველებს შეუძლიათ ნებისმიერი თანხის ჩარიცხვა ლარში (ს.ს. „თიბისი ბანკი“, საბანკო კოდი TBCBGE22, მიმღების დასახელება - ვეფხვია ღვალაძე, ანგარიშსწორების ანგარიში - GE83TB7300645063600054).

აზრი **გამოთქვეს:** პროფ. დ.ძიძიგურმა, ასოც. პროფესორმა ო.ფურთუხიამ და სხვებმა.

დაადგინეს: ა) ფაკულტეტის საბჭოს მიმართოს შუამდგომლობით თსუ კანცლერს აკად. ალ.თვალჭრელიძის სახ. აუდიტორიის გახსნასთან დაკავშირებით.

ბ) შემუშავდეს განაცხადის ფორმა, რომლის შევსების და თსუ კანცელარიაში წარდგენის შემდგომაც ფაკულტეტის თანამშრომლებს ანგარიშზე გადასარიცხი თანხა ჩამოეჭრებათ ხელფასიდან ლარში (ს.ს. „თიბისი ბანკი", საბანკო კოდი TBCBGE22, მიმღების დასახელება - ვეფხვია ღვალაძე, ანგარიშსწორების ანგარიში - GE83TB7300645063600054).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი თინათინ დავითაშვილი